



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 485/ს
25/11/2022

485-21-4-202211251547



დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალის“ კობი-ქვეშეთის გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, არახვეთის N1 სამშენებლო (საცხოვრებელი) ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ, გზის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთის მიმდებარედ, კობი-ქვეშეთის გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, არახვეთის N1 საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია კობი-ქვეშეთის გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილი N1 საცხოვრებელი ბანაკის ჩრდილოეთით, 130 მეტრის მანძილზე (ს/კ: 71.62.54.901). გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატებია: X - 461281; Y - 4697185. გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. არაგვი - დაახლოებით 140 მეტრით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2022 წლის 12 აპრილს განხორციელდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არახვეთში მდებარე ბანაკის შესწავლა/დათვალიერება. 2022 წლის 10 ივნისს, შპს "ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი"-ს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №069141 ოქმი, ასევე ამავე კოდექსის 82² მუხლის მე-3 ნაწილისა და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №069142 ოქმი. საქმის მასალები, განსახილველად გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბანაკის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი და საოფისე სათავსები გათვლილია დაახლოებით 73 ადამიანზე.

სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 24 საათიანი წყალმომარაგება სოფ. არახვეთის არსებული წყალმომარაგების ქსელიდან. ბანაკის ტერიტორიაზე წყლის მიწოდება ხორციელდება პოლიეთილენის მილების საშუალებით, თვითდინებით, ხოლო წყლის დღეღამური ხარჯი შეადგენს 14,1912 მ³-ს (0,5913 მ³/სთ). შესაბამისად, ჩამდინარე წყლების დღე-ღამურ რაოდენობად აღებულია მოხმარებული წყლის რაოდენობა, 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით და შეადგენს: 12.77 მ³-ს. საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ფეკალური წყლები იკრიბება ასენიზაციის ორმოში, რომლის დაცვაც ხდება პერიოდულად, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი კომპანიის მიერ, ხოლო სანიაღვრე წყლების მართვა მოხდება დამოუკიდებლად და გაწმენდის შემდეგ აღნიშნული წყლის ჩაშვება (განსახილველი გამწმენდი ნაგებობის გვერდის ავლით) მოხდება მდ. არაგვში. შესაბამისად, ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული „Topas 100“-ის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა გათვალისწინებულია მხოლოდ არსებული ხელსაბანების, საშხაპე კაბინებისა და სამზარეულოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის, ხოლო წარმადობა შეადგენს - 16 მ³/დღ და გათვლილია 100 ადამიანზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლოკალური საკანალიზაციო კვანძიდან (ბანაკის ტერიტორიაზე არსებული სველი წერტილებიდან) ჩამდინარე წყალი, მიწისქვეშა პოლიეთილენის გოფირებული მილის მეშვეობით, დაუკავშირდება შემკრებ რეზერვუარს (პარამეტრები: 3მX2მX1.5მ; GPS კოორდინატები: X-461233; Y-4697084), საიდანაც თვითდინებით, მიწისქვეშა პოლიეთილენის მილის საშუალებით გადავა გამწმენდი ნაგებობის მიმღებ კამერაში, სადაც ჩამდინარე წყლების წმენდის პროცესი შედგება ორი ეტაპისგან: ბიოლოგიური გაწმენდა და გააქტიურებული ლამის გამოყენებით წმენდა. საკანალიზაციო მილის საშუალებით გამწმენდი ნაგებობის მიმღებ კამერაში მოხვედრილი ჩამდინარე წყალი იწმინდება მექანიკურად და ხდება ბიოლოგიური დაჟანგვა. ბიოლოგიური გაწმენდის პროცესი ხორციელდება ორგანული ნივთიერებების დაშლით, ბიოქიმიური მიკროორგანიზმებით. ჩამდინარე წყლები კარგავენ ლპობის მიდრეკილებას, საგრძნობლად მცირდება ბაქტერიული დაბინძურება და წყალი ხდება გამჭვირვალე. შემდეგ წყალი თანაბრად გადაედინება აეროსაცავის კამერაში, სადაც ლამის აქტიური დაჟანგვით ხდება ორგანული შეერთებების საბოლოო დაშლა. შემდეგ სუფთა წყლისა და აქტიური ლამის ნაზავი მიემართება მეორად სალექარში, სადაც ხდება ლამისა და წყლის ერთმანეთისგან გამოყოფა. გაწმენდილი წყალი თვითდინებით გამოედინება გამწმენდი ნაგებობიდან, ხოლო ნარჩენი ლამი თანდათანობით გროვდება ლამის ავზში (სტაბილიზატორში) და პერიოდულად ხდება მისი ამოღება. გაწმენდილი წყალი თვითდინებით გამოედინება გამწმენდი ნაგებობიდან 200 მმ დიამეტრის და დაახლოებით 200მ სიგრძის გოფირებული მიწისქვეშა მილსადენით, რომელიც გაივლის ავტომაგისტრალის ქვეშ და ჩაედინება მდ. არაგვში, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-461370; Y-4697289

სკრინინგის განცხადების თანახმად, „Topas 100“ ტიპის გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები შემდეგია: pH 6.5-8,5, შეწონილი ნაწილაკები-50 მგ/ლ, ჟმმ-25 მგ/ლ, ჟქმ-100 მგ/ლ, საერთო ფოსფორი-2 მგ/ლ, საერთო აზოტი-13 მგ/ლ.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების თანახმად, გამწმენდი ნაგებობა და მისი ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია. შესაბამისად, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით

გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპს და ამის შედეგად უსიამოვნო სუნის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებას, აღსანიშნავია, რომ გამწმენდი ნაგებობა მცირე წარმადობისაა და ნაგებობის კონსტრუქცია წარმოადგენს დახურულ სისტემას. გამწმენდ ნაგებობაში დაგროვებული ლამის ამოღების პროცესი არ გულისხმობს სრული სისტემის წმენდას, ლამი ამოღებული იქნება ლოკალურად, ჰერმეტიკული ლამის ავზიდან, შესაბამისად პერიოდული წმენდის პროცესი არ იქნება დაკავშირებული უსიამოვნო სუნის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული მცირე წარმადობის კომპრესორი. თუმცა, ის მოთავსებული იქნება დახურულ გარსაცმში, ამასთან, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე გატარდება შესაბამისი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რაც გულისხმობს გამწმენდის კომპრესორის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლს. შესაბამისად, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მუდმივი მონიტორინგი და ტექნიკური გამართულობის კონტროლი, აგრეთვე შევსებისთანავე მოხდება ნალექის ავზის გასუფთავება. შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე, უარყოფითი ზემოქმედება ზედაპირული ან გრუნტის წყლების ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია დაკავშირებულია არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან, კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობის (დაახლოებით 1-2 მ³/წელ) ლამი. როგორც უკვე აღინიშნა, გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი ლამის გატანა საჭიროებისამებრ ხდება ასენიზაციის მანქანებით, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოხსნილი, 5 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდა გზის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ნიადაგის დროებითი დასაწყობების ადგილზე, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. დასაწყობებული ნიადაგის გამოყენება მოხდება სარეკულტივაციო სამუშაოებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, სხვა მსგავსი ზემოქმედების მქონე დანადგარის განთავსება არ იგეგმება, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური ძეგლები, ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო არ ფიქსირდება. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილი იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და წარმადობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალის“ კობი-ქვეშეთის გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, არახვეთის N1 საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო